

**მწერლის ენა როგორც
ტექსტის იდეურ-მხატვრული მარკერი
WRITER'S LANGUAGE AS AN
IDEOLOGICAL-ARTISTIC MARKER OF THE TEXT**

ნინო ფხაკაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Nino Pkhakadze

Akaki Tseretely State University
Kutaisi, Georgia,

ABSTRACT

The communicative value of the text is determined by the efficiency of adequate delivery to the addressee of the verbalized idea. Linguistic structure is a form of proper semantics of a text. Linguistic means selected by the writer from a wide variety of possibilities are of crucial importance. The writer's style is not random. The author's language is a complex artistic texture, each component of which has a purposeful functional value.

Text modeling is determined by the need to create an aesthetic effect. The latter demonstrates the specificity of the author's manner of artistic verbalization of the idea. Here it is important to analyze the way the writer conveys the message, to determine what the author wants to say / teach, what is the idea of the text. The writer uses style consciously to create a specific mood. The logical content of the text, its symbolic purpose, and aesthetic charm are interconnected. It is the language of the writer that consolidates such interdependence. This is why we can characterize the writer's language as an ideological-artistic marker of the text.

Elements of analysis of the writer's language are diverse: vocabulary, narrator position (who tells the story), form (monologue, dialogue), sentence structure, paragraph modeling, speech figures, narrative structure: editing, story development, chronological sequence, allusion, and rhetorical strategies, specificity in character description, writer's tone: irony, sarcasm, humor, rhythm and so on.

საკვანძო სიტყვები: მწერლის ენა, მწერლის სტილი, ტექსტის მოდელირება, რევაზ ინანიშვილი.

Keywords: Writer's language, writer's style, text modeling. Revaz Inanishvili.

ტექსტის კომუნიკაციური ღირებულება მასში ვერბალიზებული იდეის ადრესატისთვის ადეკვატური მიწოდების ეფექტურობით განისაზღვრება. ენობრივი სტრუქტურა ტექსტისა სათანადო სემანტიკის ფორმაა. აქ გადამწყვეტი მრავალფეროვანი შესაძლებლობებიდან მწერლის

მიერ შერჩეული ენობრივი საშუალებებია. მწერლის სტილი არ არის შემთხვევითი. ავტორის ენა კომპლექსური მხატვრული ქსოვილია, რომლის ყოველი კომპონენტი მიზანმიმართული ფუნქციური ღირებულებისაა.

ტექსტის მოდელირება ესთეტიკური ეფექტის შექმნის აუცილებლობით არის განსაზღვრული. ეს უკანასკნელი იდეის მხატვრული ვერბალიზების ავტორისეული მანერის სპეციფიკას წარმოაჩენს. აქ მნიშვნელოვანია იმის ანალიზი, როგორ გადმოსცემს მწერალი სათქმელს, რომ დავადგინოთ, რისი თქმა/სწავლება სურს ავტორს, რა არის ტექსტის იდეა. მწერალი სტილს შეგნებულად, კონკრეტული განწყობის შესაქმნელად იყენებს. ტექსტის ლოგიკური შინაარსი, სიმბოლური დანიშნულება, ესთეტიკური ხიბლი ურთიერთკავშირშია. ამ ურთიერთგანპირობებულობის გამაერთიანებელია სწორედ მწერლის ენა. ამიტომაც შეიძლება დავახასიათოთ მწერლის ენა როგორც ტექსტის იდეურ-მხატვრული მარკერი.

მწერლის ენის ანალიზის ელემენტები მრავალფეროვანია: ლექსიკა, მთხრობელის პოზიცია (რომელი პირი გადმოსცემს ამბავს), ფორმა (მონოლოგი, დიალოგი), წინადადებების სტრუქტურა, აბზაცების მოდელირება, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმები, მეტყველების ფიგურები, თხრობის სტრუქტურა: მონტაჟი, სიუჟეტის განვითარება, ქრონოლოგიური მიმდევრობა, ალუზია... რიტორიკული ხერხები, პერსონაჟის დახასიათების სპეციფიკა, მწერლის ტონი: ირონია, სარკაზმი, იუმორი... რიტმულობა...

ლიტერატურული ტექსტი თვითმყოფადია. ეს თვითმყოფადობა ავტორის სტილით რეალიზდება, რაც მწერლის ენის დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობას გულისხმობს და მოიცავს როგორც ტექსტის კომპოზიციურ თავისებურებებს, ისე პერსონაჟთა ენისა და ავტორის მეტყველების მახასიათებლებს. ტექსტი როგორც ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტი კულტუროლოგიური პარადიგმის წარმომჩენი ხდება (Hartmann 1981).

მხატვრული სტილი ერთგვარი კონცეფციაა, იდეური ხატი, რომლის გამოხატულების ფორმა ენობრივია, შესაბამისად, მწერლის ენა - ტექსტის იდეურ-მხატვრული მარკერი. ენობრივი ელემენტები ქმნიან დისკურსულ ენობრივ ქარგას (Van Dijk 1981).

მხატვრულ ტექსტში ლინგვისტური კანონები ვერბალურ ხელოვნებად გარდაისახება აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად.

მხატვრული ლიტერატურის ადრესატი მკითხველია, ენა - შუამავალი ავტორსა და მკითხველს შორის.

სტილის მიზანი არის ავტორის თვითგამოხატვა, სამყაროს მხატვრული გააზრება ხელოვნების საშუალებით. მწერლის სტილის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება (ზვიადაძე 2009).

მწერლის ენა მრავალი ელემენტისგან შედგება. თითოეული კომპონენტის ფუნქციური დატვირთვა იდეის მხატვრული ვერბალიზებაა, ამიტომ რომელიმე მათგანის განხილვა შეიძლება იქცეს მწერლის სტილის წარმოჩენის შესაძლებლობად საერთო ენობრივი ხატის პარადიგმაში.

ჩვენ თეორიული მოსაზრების საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ შერჩეულ კომპონენტს: სამეტყველო-კომპოზიციური ფორმების მოდელირების ლინგვისტურ მექანიზმს, რომ მივუთითოთ მათ როლზე ტექსტის იდეურ-მხატვრული ფუნქციის რეალიზებაში, რითაც ხაზი გაესმება მწერლის ენის მნიშვნელობასა და საანალიზო ელემენტის სტილურ მარკირებას.

მხატვრული ლიტერატურა თანაბრად იყენებს მეტყველების ყველა ფუნქციონალურ და სემანტიკურ ტიპს - აღწერას, თხრობას, მსჯელობას.

ემპირიულ მასალად რევაზ ინანიშვილის ნოველები და მოთხრობები შევარჩიეთ.

რევაზ ინანიშვილთან გამოიყენება კომპოზიციური ფორმა აღწერა: „აცვია (მარტი ახლა დაიწყო და ალბათ კიდევ ერთ თვეს ივლის ქუჩაში ასე) ჩვენი ნაქსოვი მოლურჯო ფერის ტვიდის პალტო, რომლის კალთები სიარულის დროს ეხსნება და ხელი წინ ხშირად მოაქვს მათ შესაერთებლად. ფეხთ რუხი, ყავისფერი ტყავით გაწყობილი სქელძირიანი ფეხსაცმელი, უკვე პეწდაკარგული, მოძულეზღვივ კი თებროს მიერ. ახურავს ღაზლის შინ ნაქსოვი ქუდი, ისიც მორუხო და და ყავისფერზოლებჩამოყოლებული. სახის ყველაზე გამორჩეული ნიშანი უკვე იცით, - როგორც არ უნდა შეინიღბოს, მაინც ეტყობა, რომ მარცხენა წარბი ორად აქვს გაპობილი. ოდნავ შემუქებულ საულვაშეზე მარჯვენა მხარეს მოუჩანს პატარა ხალიც. ძალიან იშვიათად იღიმება, მაშინაც ქვედა ტუჩს კბილებს აჭერს და ღრმად ღუნავს თავს“ („თებრო“. ინანიშვილი 1983: 8).

აღწერაში ენობრივი რესურსი ისეა შერჩეული, რომ ერთფეროვნების, მოწყენილობის, სევდის განცდას ქმნის. პალტოს განსაზღვრებად გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩვენი“ ადეკვატურად გამოხატავს სამოსის სიძველეს, მისი პატრონის უინტერესო, სიახლეებსა და სიხარულს მოკლებულ ცხოვრებას. მთელი ნაწარმოების მანძილზე ეს პალტო პერსონაჟის უცვლელი სამოსია, იგი მკითხველისათვის კარგად ნაცნობია; მკითხველსა და პერსონაჟს ერთნაირად მოსწყინდათ უფერული, უხალისო ცხოვრება - მავანისთვის რომ დედინაცვლად გადაიქცევა ხოლმე და საკუთარი თავის ადგილის პოვნაში უიმედოდ შემოუღამებს წუთისოფელს.

ამავე აღწერაში ზედსართავი სახელებიც უხალისო, მდორე შინაარსის გადმოცემას ემსახურება: „პეწდაკარგული“, „მოძულეზღვი“...

განმეორებითობის, დაუსრულებელი ერთგვარობის მხატვრულ ილუსტრაციად იქცევა ნაწილაკების, კავშირების გამოყენებაც მოხმობილ კონტექსტში: „ისიც“, „მაშინაც“, „მაინც“, „როგორც არ უნდა, მაინც“.

ამონარიდიდან კარგად ჩანს, რომ პერსონაჟი (თებრო) მიუსაფარი, უთვისტომო, უფერული ცხოვრებისთვის განწირული ადამიანია, რომელიც რეალობასთან მხოლოდ „მინაცრებული სახით“ არის დაკავშირებული.

რევაზ ინანიშვილის მწერლური სტილის მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ თხრობისა და აღწერის კომპონენტების შერწყმა. მიზანი - აღწერის ობიექტის მნიშვნელობის ინტენსიურობა თხრობით განვითარებულ სიუჟეტში. საინტერესოა ამგვარი მონაკვეთი „რთველში“: „მე ვიდექი, უცებ

გადმოსული ყვითლად კაშკაშა მზიდან მარნის სიბნელეში, ვიყურებოდი აქეთ-იქით და სიცივესავით ჟრუანტელი მივლიდა ტანში. მეჩვენებოდა, რომ წარმართებსავით ხალხში ვიყავი, ის ვეება ქვევრიც, იქიდან ამომავალი ღვისა და წმინდა სანთლის სუნიც, ის შიშველი ბიჭიც შორეული ბიჭიც შორეულ წარსულში იყო და რაღაც საკრალური ცერემონიული სრულდებოდა. ამ შთაბეჭდილებას კიდევ ის აძლიერებდა, რომ თახჩები გამოვსებული იყო სხვადასხვა ზომის შავფერი დოქებით, შებოლილივით კედლებზე ეკიდა ძველებური ხელსაწყოები: კავები, ხაპირები, სარცხები, სარევეები, ცელები, ხერხი, მუხის დედაბოძსა და თავხეზე გამოხატული იყო ხარებისა თუ ძროხების მწკრივი; ღია კარში, პრიალა სინათლეში, იდგა დიდი წითელი მამალი...“ („რთველი“. ინანიშვილი 1983: 11).

აქ იგრძნობა გენეტიკური კავშირი ეთნოკულტურული ღირებულებებისადმი; ყურძნის დაწურვა რიტუალია, ავტორი ამაღლებულ განწყობას ქმნის, აღწერა მიჯრის, სიმრავლის, სიძველის ნიშნებით ხასიათდება, რაც ლინგვისტურად მრავლობითი რიცხვის ფორმებით, სუბსტანტივების რიგით, ჩამოთვლით, მაჯგუფებელი კავშირების გამოყენებით მიიღწევა. სწორედ აღწერის მიგნებული ენობრივი ფორმულირების გამო ჩვენთვის სრულიად ბუნებრივი ხდება თხრობაში გადმოცემული განცდა მთხრობელისა: „სიცივესავით ჟრუანტელი ტანში“.

ასევე საინტერესოა თხრობისა და მსჯელობის კომპონენტების შერწყმაც, მიზანი - მსჯელობის ჭეშმარიტების საფუძვლად თხრობის შინაარსის წარმოჩენა: „ზურაბს სუფრის აშლისთვის აღარ დაუცდია, გამოიტანა ორლულიანი თოფი და წავიდა ვენახში, ვენახისათვის უნდა ეყარაულა თივის ბულულში მიწოლილს. ვიცი, რომ სულელად მთვლი, მაგრამ მე მაინც მომეჩვენა, რომ ვენახში სხვა რამისთვის მიდიოდა. მივიდოდა, დაჯდებოდა, დაიწყებდა ნელინელ სტვენას, გამოვიდოდა სიბნელიდან გალუდლუდებული, კბილებგანათებული ალი, დაუჯდებოდა მუხლებზე და მთელ ღამეს გაატარებდნენ ღონიერ ალერსში“ („რთველი“. ინანიშვილი 1983: 12). ერთგვარი კონტრასტი მსჯელობაში კარგად არის წარმოჩენილი: „ვიცი - მაგრამ მაინც“. ამგვარ დაპირისპირებულობას ქმნის მწერალი სინტაქსური კონსტრუქციის მიზანმიმართული გამოყენებით: ზერთული წინადადება შესანიშნავად ერგება მწერლის სათქმელს: თანწყობა: „ვიცი - მაგრამ მაინც“; ქვეწყობა - კომპონენტების „ვიცი“ „მაგრამ მაინც“ ახსნა. სურათი ისევ და ისევ წარმოაჩენს ულამაზეს განცდას - გენეტიკური ისტორიის თანამედროვე ანაბეჭდს: ფანტასტიური ალი და მოკვდავი ზურაბი ერთად წარმოიდგინა ავტორმა. ამ „სულელურმა“ წარმოდგენამ კი ქართველური ფესვისა და ჯიშის, ზოგჯერ წარმართულთან შესისხლხორცებული ტრადიციულის ყველაზე რეალისტური წარმოდგენა შექმნა: რთველი ერთგვარი ბახუსია ქართველისათვის, რომანტიკული, ფერადი, ჯიშისმიერი, ბუნებასთან დამახლოებული მიწასთან მოუწყვეტლობა. სწორედ ამგვარმა ლინგვისტურმა ხერხმა გადააქცია თხრობა - ზურაბის ვენახის სადარაჯოდ წასვლის უწყინარი ამბავი - მსჯელობად - რთველისადმი ეთნოკულტურული დამოკიდებულების გამოხატვად.

რევაზ ინანიშვილის მწერლური სტილის მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ აღწერის მეშვეობით კონტრასტის შექმნა. ამ მხრივ საინტერესოა „მოხეტიალე მუსიკოსი“ (ინანიშვილი 1983: 20). კონტრასტული სახეებია მუსიკოსი, რომლის ატრიბუტებია: „ძველისძველი, გახუნებული ფრაკი, დაძველებული შლაპა, ხნიერი, მაგრამ მხნე, თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავდა, მკლავები დაჰკუნთოდა, თითებიც ძლიერი და მამაკაცურად ლამაზი...“ და მეშუქურე, რომლის დასახასიათებლად ავტორი ატრიბუტივების ნაცვლად მოქმედებაში დახასიათებს გვთავაზობს, აქ წამყვანი ლინგვისტური საშუალებაა ვითარების გარემოებისა და ზმნის სინტაგმები: „მრისხანედ გამოიყურებოდა“, „მძიმედ ამოიხედა“ (მუსიკოსთან შეხვედრისას).

მწერალი ახერხებს დაძლიოს კონტრასტი: განსხვავებული პროფესიის ადამიანების ცხოვრებისეული მიზნის განცხადებითა და მატერიალურ-სულიერი მზრუნველობის ადამიანური კეთილდღეობის შეუცვლელ სიმბოლოდ წარმოდგენით. მეშუქურე იმისთვის შრომობს, „გემებს რომ გზა არ აებნეთ“; მუსიკოსი კი იმისათვის, რომ „ადამიანების სულებს გზა არ აებნეთ“.

მწერალმა შესანიშნავად დააკავშირა ენაში პირდაპირი და ფრაზეოლოგიური შინაარსით ერთი და იმავე კონსტრუქციის გამოყენების შესაძლებლობა და იგი ნაწარმოების იდეად აქცია. ცნობილია, რომ ლექსიკური რესურსი მწერალს განსაკუთრებული ექსპრესიულობის შექმნის შესაძლებლობას აძლევს (კოშორიძე 2005).

მხატვრული კონტრასტის შესანიშნავი ნიმუშია ასევე ნოველაში „არწივი“. ერთი და იმავე მოქმედების აღწერას ხვდა დასხვა პოზიციით: არწივის ფრენა თავისუფლების მოყვარული, ღირსეული, თუმცა მარტოსული ადამიანისათვის მაგალითია დაცემის და კვლავ ადგომისა (წრის შემოხაზვა ჰაერში - მოძრაობა ზემოდან ქვემოთ და პირიქით); გაუმადლარი, ამპარტავანი ადამიანისათვის კი „თავზე პარპაში“, რაც აღიზიანებს და ფრინველის თავიდან მოშორების სურვილს აღუძრავს. მიგნებულად აქვს მწერალს გამოყენებული ლექსიკური ერთეული „ძალდატანება“. ღირსეული ადამიანისთვის არწივის ფრენაში არავითარი ძალადობა არ მოჩანს, მხოლოდ სილაღე და თავისუფლების სურვილი, ამპარტავნისათვის კი - პარპაში ძალადობაა, ზევიდან ცქერა. აქვე საინტერესოა ამპარტავანი ადამიანების დამახასიათებელი აღმატებითი შინაარსის ლექსიკა: „ყველაზე დიდი, ყველაზე მაღლა“. ასე აღწერს ღირსეული კაცის არწივის მკვლელსა და მის მეუღლეს: „ვერ იტანდა, ვინმე რომ მიდიოდა მის წინ, წინა კვირას ბაზარში ვნახე, ეძებდა ისეთ საზამთროს, ყველაზე დიდი, ყველაზე დიდი რომ იქნებოდა მთელ ბაზარში. ვიცნობდი მის მეუღლესაც - ყველაზე მაღლა თავაწეულ ქალს მთელ აგარაკზე“. საინტერესოა თოფიანი კაცის კომენტარი: „ვერ ვიტან ვინმე რომ დამპარპაშებს თავზე...“ განსხვავებულია მარტოსული, ღირსეული კაცის ხედვა: „მშვიდი და ამაყი, თვალბდაუხამხამებლად დამყურებდა მაღლიდან. არავითარი ძალდატანება! თითქოს წრიულად მბრუნავ ჰაერს მიჰყვებოდა თვითონ გაჩერებული. რამდენჯერმე რომ მოხაზა წრე, ოდნავ, სულ ოდნავ შეღუნა ფრთა, წამოვიდა დაბლა-დაბლა,

გეზად, რკალს გამოყოლილი; იზრდებოდა და იზრდებოდა შავად დასირმული მისი ლეგა მკერდი; ნელა ასწია თავი და შუშუნასავით ავარდა მაღლა. კიდევ გააკეთა ასე, კიდევ და კიდევ, - თითქოს დაცემისა და ამაღლების გაკვეთილს მამლევდა, - მერე ფრთებგამეშვებული ისევ მაღლა მიჰყვა წრეს და, სამჯერ რომ შემოიარა, წავიდა... მე უკვე ფეხზემდგარი გავყურებდი მისი დაკარგვის გზას და მაშინვე ვიგრძენი, რომ შედარებით ღონივრად ვებჯინებოდი მიწას“ („არწივი“. ინანიშვილი 1983: 117-119).

სათანადო ლინგვისტური საშუალებებით მოდელირებული აღწერებით ავტორი ღირებულებებისადმი დამოკიდებულების სწორ მაგალითს გვიჩვენებს.

ამგვარად, მწერალი გვიხატავს რეალობას, სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ჭიდილში მოგვიწოდებს სინათლის გზისკენ, ქმნის განუმეორებელ მხატვრულ სამყაროს ენობრივი საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით. სწორედ ამიტომ იქცევა მწერლის ენა ტექსტის იდეურ-მხატვრულ მარკერად.

გამოყენებული ლიტერატურა

ინანიშვილი 1983: ინანიშვილი რ., თებრო. თბილისი, 1983.

ჯორბენაძე 1997: ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა. თბილისი, 1997.

კომორიძე 2005: კომორიძე ე., მწერლის ენისა და სტილის საკითხები. თბილისი, 2005.

ზვიადაძე 2009: ზვიადაძე თ., მწერლის ენის საკითხები. თბილისი, 2009.

Van Dijk 1981: Van Dijk T. A., Discourse studies and Education. in: Applied Linguistics. Volume II, Issue 1, 1981. p. 1-26. <https://doi.org/10.1093/applin/II.1.1>
დამოწმება: 20.08.2020.

Hartmann 1981: Hartmann P., The Text as a Linguistic Object. in W. D. Stempel (ed.), Contributions to the Linguistics of the Text. Munchen, 1981.

Кожевникова 1976: Кожевникова К., Формирование содержания и синтаксис художественного Текста.in: Синтаксис и стилистика. Москва, 1976.

Лукин 1999: Лукин В.А., Художественный текст: Основы лингвистической теории и элементы анализа. Москва, 1999.